№3 (300), 6-12 თებერვალი, 2004 წ   პარასკევის გამოშვება   40 თეთრი

# ფანტაზია

## იტალიური კროსვორდები

სხვათა შორის და ამასობაში,
გაზეთობანას თამაშობაში,
ჩვენი გაზეთი
რვა წლისა გახდა!

**პარასკევის „ფანტაზიის“ პირველი ნომერი გამოვიდა 1996 წლის 7 თებერვალს**

....ჩვენ ვიცით, რომ არსე–ბობენ ადამიანები, ვინც რვა წლის განმავლობაში ერთგულად უდგანან „ფან–ტაზიას“ გვერდით, რისთ–ვისაც გიხდით დიდ

# მადლობას!




1. როგორი ნომერია ეს? 2. არის ასეთი ჩექმა. 3. გალაკტიონის ლექსი. 4. ბევრი იგუანა. 5. მარტომყოფი. 6. სამეცნიერო წოდება. 7. წინა ხაზი. 8. „დიონისეს ღიმილის“ კონსტანტინე. 9. თავს ესხმის ხოლმე. 10. არაფრის კეთება. 11. სასვენი ნიშნების დასმის წესები. 12. ასეთი ჭაბუკია ცნობილი ჩვენს კინოში. 13. ასეთი სეანსების ჩატარება შეიძლება სულთან. 14. ევროპის ახლადწარმოქმნილი სახელმწიფო. 15. ასაფეთქებელი მოწყობილობა. 16. უდაბნოს ეშელონი. 17. ბუდულაის როლს ასრულებს. 18. უგემოვნო ანუ როგორი? 19. ყარყატისებრი ფრინველი. 20. მოხეტიალე პოეტი-მუსიკოსები ძველ ევროპაში. 21. ხის მწვანე ბაყაყი. 22. საბჭოთა მულტიპლიკაციის ყველაზე ცნობილი ნიანგი. 23. ფარის წინამძღოლი. 24. კინოს წყალობით კარგად ცნობილი ბელადი ინდელებისა. 25. გამოუცდელი კაცი. 26. ლიდერი ანუ ვინ? 27. ნაგვის გადასაყრელი იარაღი. 28. წინადადება ასეთიც შეიძლება იყოს.



# რვა წელი „ფანტაზიასთან“ ერთად

რვა წელი არცთუ მცირე დროა ამა თუ იმ შემოქმედებითი წარმონაქმნის ცხოვრებისათვის... („შემოქმედებითი“ შემთხვევით ან თავმომწონებით არ გვითქვამს, რადგან მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩვენ სწორედ შემოქმედებით მუშაობას ვეწეოდით და რამდენად ვახერხებდით ამას, თქვენი განსასჯელია).

რვა წლის განმავლობაში ჩვენმა გაზეთმა ბევრი (...და შეიძლება დიდიც) საქმე გააკეთა პირველ რიგში კროსვორდის თეორიისა და პრაქტიკის საქმეში, რის დასტური თუნდაც ასეთი ფაქტი გახლავთ - ამასწინათ ერთი შედარებით ნაკლები სტაჟის მქონე საკროსვორდო გამოცემა ჩაგვივარდა ხელთ და ასეთი რამ დავაფიქსირეთ: მასში იყო სამი ისეთი საკროსვორდო-გასართობი წარმონაქმნი, რაც ნამდვილად პირველად „ფანტაზიაში“ გამოქვეყნდა, ყველა დანარჩენი კი ჩვენ გაზეთში აპრობირებული ინტელექტუალური გასართობების ვარიაცები გახლდათ. ღმერთმა ხელი მოუმართოს ყველას, ვინც ჩვენი გამოგონებებით სარგებლობს - სიახლე იმისთვის ინერგება, რომ ყველას მოსახმარი გახდეს.

* * *

მოგეხსენებათ, კროსვორდი ინტელექტუალური გასართობი გახლავთ და მის ამოსახსნელად გარკვეული ცოდნის ფლობა-შეძენაა საჭირო. სწორედ ამან გვიკარნახა ის აზრი, რომ კროსვორდების პარალელურად ესა თუ ის საცნობარო თუ მხატვრული ხასიათის მასალა მიგვეწოდებინა მკითხველისათვის, თუმცა 1) სწორედ ამის გამო ხანგრძლივი დროის განმავლობაში გვიკიჟინებდნენ, რომ „ფანტაზიაში“ მხოლოდ კროსვორდები უნდა იბეჭდებოდეს და 2) სწორედ ამის წყალობით მოხდა ის, რომ რვა წლის განმავლობაში „ფანტაზიაში“ იმდენი ენციკლოპედიურ-პოპულარული ხასიათის მასალა დაგროვდა, რამაც თუნდაც „უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონის“ შექმნა შეგვაძლებინა; იგივე შეიძლება ითქვას „ერთი მსახიობის ბიოგრაფიის“ სერიის შესახებ, რაც ნელინელ იხვეჭს სახელს და თავის დროზე იტყვის საკუთარ სათქმელს.

* * *

რვა წლის განმავლობაში ჩვენ დაახლოებით ორასი (ჩვენთვის მანამდე უცხო) ადამიანი პირადად გავიცანით, ამდენივესთან კი სატელეფონო ნაცნობობა გვქონდა.

უნდა მოგახსენოთ, რომ ამ ადამიანებთან დაახლოება უზარმაზარი სიკეთე აღმოჩნდა ჩვენთვის, თუნდაც იმიტომ რომ მათი შეხედულებები.... (უკაცრავად სატელეფონო ზარია....)

...აკი მოგახსენებდით, უზარმაზარი სიკეთეა-მეთქი „ფანტაზიელებთან“ ნაცნობობა. აი, ახლა, ორი წუთის წინ მოქანდაკე მერაბ ფირანიშვილმა, რომელმაც ჩვენი ენციკლოპედია შეიძინა, გაგვიზიარა აზრი ამ წიგნის შესახებ და გვთხოვა მასში შეგვეტანა ყაზბეგის რაიონში, დარიალის ხეობაში მდებარე „ბახტრის წმინდა გიორგის სალოცავი“, ისიც გვითხრა, რომ ქართულ ენაში შემონახულია ასეთი გამოთქმა - „ბახტრიდან-ბუხტრამდე“, რაც საქართველოს ჩრდილოეთ და სამხრეთ საზღვრებს გულისხმობს...

* * *

ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ რვალ წლის განმავლობაში ჩვენ შეძლებისდაგვარად ვცდილობთ ქართული ენის სიწმინდის დაცვას. არ დავმალავთ და გეტყვით, რომ ეს ჩვენ უპირველეს მოვალეობად მიგვაჩნია, მით უმეტეს დღეს, როცა ჩვენი ენის ფუძეც და ზედნაშენიც მიმბაძველთა ახალ, ალბათ, ყველაზე ძლიერ და გამანდაგურებელ აოხრებას უძლებს. რა თქმა უნდა, ამ ჩვენ დალოცვილ ენას მრავალი ასეთი ამაოხრებლისთის გაუძლია და ამათაც გაუძლებს, მაგრამ, თუ ჩვენ გადამრჩენელები არ ვართ, გულისტკივილიც აღარ გამოვხატოთ?! აბა, როგორ არ გეტკინება გული ტელევიზიით ასეთი სიტყვების მოსმენისას: „...ამ ხალხს ვეღარც მავანთა კრიშობამ უშველაო...“

* * *

დღეს ჩვენ არ ვაპირებთ „ფანტაზიის“ საქმიანობის შეჯამებას, რადგან შეჯამებამდე კიდევ დიდი გზაა გასავლელი (ჩვენ ასე გვწამს), რის თქმაც თამამად შეგვიძლია თუნდაც იმის გამო, რომ შარშან, როცა გაზეთის გამოცემა შევწყვიტეთ და განახლებასაც აღარ დაადგა საშველი, მავანმა „ფანტაზიელებმა“ მოსვენების უფლება არ მოგვცეს და, შეიძლება ითქვას, გვაიძულეს, რომ გაგვეცოცხლებინა „ფანტაზია“, რომელიც, ბევრი თუ არა, მკითხველ-შემვსებთა გარკვეული რაოდენობისათვის მაინც ცხოვრების აუცილებელ და განუყოფელ-შემადგენელ ნაწილად იქცა.

ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ „ფანტაზიელთა“ ერთგულება და სიყვარული ახლა გაამაყების გრძნობას კი არ გვინერგავს, არამედ უზარმაზარ პასუხისმგებლობას გვაკისრებს.

ერთი სიტყვით, „ფანტაზია“ მეოთხე ასეულში გადავიდა, კვლავ ცოცხლობს და სწორედ ეს გახლავთ მთავარი ჩვენთვის და თქვენთვის!

* * *

...იბადება ახალი თაობა და ჩვენ კიდევ ერთი მოვალეობის აღსრულებას გვკარნახობს - „შევუნახოთ მათ ისეთი საქართველოს ნაწილი მაინც, რომელიც ჩვენ ძალიან გვიყვარს“.

*ალექსანდრე ელიზბარაშვილი*

# საკროსვორდო ჩემპიონატი

...ჩვენი სუფრის ადათ-წესები ჩემგან არ გესწავლებათ. აბა, გაიხსენეთ, რა სადღეგრძელოს წარმოთქვამს თამადა პირველად, როცა თანამეინახეებს გადახედავს და მომავალი „ორთაბრძოლის“ წინ ღრმად ჩაისუნთქავს? (მართალია, მანამდე თამადის არჩევა ხდება, მაგრამ ჩვენ შემთხვევაში საკროსვორდო ჩემპიონატს ჯერჯერობით ერთადერთი და შეუცვლელი თამადა ჰყავს - გვარს არ დავასახელებთ -, რომელიც წარუძღვება 2004 წლის საგაზაფხულო ჩემპიონატს). ...რას და - ჩვენ თავშეყრას გაუმარჯოსო!

ამ ჩემპიონატს ექვს ტურად გავმართავთ და მაისის დასაწყისში დავასრულებთ. ძირითადი ტურნირის შემდეგ გავმართავთ დასწრებულ ტურს, რასაც, გასული წლებისაგან განსხვავებით, მატჩების საშუალებით კი არ ჩავატარებთ, არამედ „საკონტროლო წერის“ სახეს მივცემთ, ანუ - ყველა შეავსებს ერთ კროსვორდს წერილობითი სახით.

სამ გამარჯვებულს მომავალ წელს უფასოდ მიეწოდებათ „ფანტაზიის“ ყველა ნომერი (ან სურვილის შემთხვევაში გადაეცემათ მთელი წლის გაზეთების შესაძენი თანხა). გამარჯვებულებს ასევე გადავცემთ ყველა იმ გამოცემას, რასაც წელს გამოვცემთ და, რა თქმა უნდა, „უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონის“ მეორე ტომის, ჯერ მასალებს, შემდეგ კი წიგნსაც, რომლის დასრულებას სწორედ მაისში ვგეგმავთ.

**ახლა კი პირველი სადღეგრძელო**:

„ჩვენ თავშეყრას გაუმარჯოს!“ ანუ: კროსვორდი, რომელსაც დღეს გთავაზობთ, არ გახლავთ ჩასათვლელი, ეს ის პირველი ჭიქაა, ქეიფის ხასიათზე რომ მოვყავართ ხოლმე. მაშ ასე: საწყის ტურში მონაწილეობა ჩემპიონატში მონაწილეობის დადასტურებად ჩავთვალოთ, თუმცა არ გეგონოთ, რომ ვინც პირველ ჭიქას არ დალევს, შემდეგი სადღეგრძელოების შესმა აეკრძალება.

საწყისი ტურის პასუხებს მივიღებთ კვირას, 8 თებერვალს მთელი დღის განმავლობაში - 79-53-70.



1. გეომეტრიული დანიშნულების ხაზი. 2. „ობოლი“ - ჩვენთვის ნაცნობ ერთ-ერთ ენაზე. 3. ერთ-ერთი ქალური თვისება. 4. ჯორდანო ბრუნოს მშობლიური დასახლებული პუნქტი. 5. რა აქვთ საერთო მძლეოსნობას და ჩვენ ინტელექტუალურ გასართობს? 6. პერსონაჟი ალენ დელონის კინოგალერეიდან. 7. რუსეთის ერთ-ერთი თავდაცვის მინისტრი უკანასკნელ ხანებში. 8. ვინაა, ვთქვათ, აიათოლა ჰამენეი ირანისათვის? 9. თმების ვერტიკალური პოზიციის გამომხატველი ერთ-ერთი სიტყვა. 10. მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ნავსადგური. 11. ოთარ მეღვინეთუხუცესის ერთ-ერთი კინოგვარი. 12. ჩვენთვის ასეთი ნიშნებიცაა ცნობილი. 13. 2003 წლის ქართული სპორტის ერთ-ერთი გმირი. 14. ჩვენთვის ყველაზე ახლობელი ჩინელი მეფე. 15. კლაუდია შიფერისთვის აკრძალული კულინარული „ეპითეტი“. 16. კუზიანი, მაგრამ არა აქლემი. 17. ფართო მასებისთვის მიუწვდომელი ანუ როგორი? 18. თბომეურნეობის ობიექტი. 19. ქალაქი ირანში. 20. სახელი პერსონაჟისა მიხეილ გელოვანის კინოგალერეიდან. 21. მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ლიტერატურული ძეგლი. 22. რითმა იმისა, რაც „შორს არი“. 23. ბენჯამენ ფრანკლინმა თქვა - „ორი რამ არის გარდაუვალი ამქვე-ყნად - სიკვდილი და (რა?)“ 24. რუსული „ოსკარი“. 25. რა მოუწევთ ას-ეთ სიტყვებს - „კრიშობა, ჰედლაინი“ და ა.შ.? 26. ქალაქი ავსტრალიაში. 27. ყველა დროის უდიდესი განგსტ-ერი. 28. საზომთა ასეთი სისტემაა ჩვენში მიღებული. 29. ასეთი კრება იმართება ყველაზე ხშირად. 30. სახე-ლმწიფო ატრიბუტი. 31. რუსული ხა-ლხური მუს. ინსტრუმენტი. 32. ოთარ მეღვინეთუხიცესის ერთ-ერთი კინო-სახელი. 33. ჩვენი ცეკვის ელემენტი. 34. აღმოსავლელი მონარქი. 35. ჩვენი ენის ნაცვალსახელი. 36. თანამედრ-ოვე რუსული მუსიკალური ჯგუფი. 37. ყველაზე საშიში ძაღლის სამშობლო. 38. ბუდისტთა სალოცავი. 39. მექორწინეთა ერთ-ერთი მხარე. 40. ქართული ჟურნალი.

# საუკეთესო გარეკანები

როგორც მეორე გვერდზე მოგახსენეთ, გაზეთის ყოველ ნომერზე მუშაობა ჩვენთვის შემოქმედებით საქმიანობას წარმოადგენს, რის აუცილებელი და ყველაზე პრობლემატური საკითხი გარეკანის შექმნაა. აბა, წარმოიდგინეთ 300 სხვადასხვა იდეა სხვადასხვან ნომრისთვის!

მართალია, ზოგჯერ ეს იდეაც არ იყო და უბრალოდ უიდეობის ან უდროობის გამოისობით შექმნილი ნაცოდვილარი გახლდათ, მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ ეს 300 ნომერი 1996-2004 წლებში გამოვიდა და არა, ვთქვათ, 1976-1984 წლებში, როცა არ იყო კომპიუტერი, სამაგიეროდ იმდენი ელექტროენერგია გვქონდა, რომ მისი არსებობაც კი არ გვახსოვდა. ასეა თუ ისე, ჩვენ 300 გარეკანი გავაკეთეთ და ახლა გვსურს ზოგი მათგანი გავიხსენოთ:

1) გარეკანი, რომელიც ყველაზე მეტად მოგვწონს და რასაც ყველაზე მეტი დრო დავახარჯეთ.

**1999 წელი, ნომერი 155**

ეს გარეკანი იმითაა საყურადღებო, რომ მისი რთული კომპოზიცია მეტისმეტად მწირი კომპიუტერული ტექნიკით შევძელით (თუნდაც თავზე შემოტარებული „2000“ რად ღირს).



2) ყველაზე „ტევადი“ და სამომავლო გარეკანი.

**1999 წელი, ნომერი 147**

სოფი მარსოსადმი „განსაკუთრებული სისუსტემ“ განაპირობა მისი მორიგი გამოჩენა გარეკანზე, ხოლო რუბრიკამ „მსოფლიო კინოს 50 ქალღმერთი“ შვა ჩვენი სერიალი „ერთი მსახიობის ბიოგრაფია“.



3) **2001 წელი, ნომერი 205**

ამ გარეკანის შექმნისას, საზეიმო განწყობის ნაცვლად - ხუთი წლისთავი გახლდათ „ფანტაზიის“ - რაღაც მაჯლაჯუნები გვიწეწავდნენ სულს იმის გამო, რომ ტირაჟმა საოცარი ტემპით დაიწყო ვარდნა და ამიტომაც შევეცადეთ საკროსვორდო პრესას მოსეული ავსულები იდეურად გამოგვესახა, მაგრამ, როგორც ჩანს, ვერ მოვახერხეთ ეს, რადგან ამ ნომრის შესახებ ერთმა ქალბატონმა მაშინ გვკითხა - „ეს შავი კაცი ვინ არისო?!“ - და ჩვენ დღემდე ვერ გავრკვეულვართ - „ის შავი კაცები“ ვინ იყვნენ, ვინც ჩვენ საყვარელ კროსვორდს ერთხანს სახელი შეურცხვინეს არაპროფესიული დამოკიდებულებით



ეჰ!...

ერთი სიტყვით, გასახსენებელი ბევრი გვაქვს და იმის იმედით ვცოცხლობთ, რომ სათქმელი უფრო მეტი გვექნება, როცა „ფანტაზიას“ არსებობის 9,10,11 და მეტი წელი შეუსრულდება.... თქვენი მხარდაჭერის წყალობით.

# ჩვენ შევქმენით



**თარაზულად**:

1. უელსის დედაქალაქი. 4. ვიდეო-აუდიო საქონლის მწარმოებელი იაპონური ფირმა. 10. სახელი რუსი მომღერლისა, ციგანოვასი. 11. კატეგორიული მოთხოვნის სახესხვაობა. 13. რუსი მწერალი, ავტორი შავყურა თეთრი ბიმის შესახებ შეთხზული ამბისა. 15. თოფის სახესხვაობა. 17. გერმანელი ფილოსოფოსი-იდეალისტი. 19. მომწამლავი გაზებისაგან დამცავი საშუალება. 23. რუსი მსახიობი მამაკაცი (გახსოვთ ფილმი „რომანსი შეყვარებულებზე“?). 24. ვინაა „ვიცე“ თავისი რიგითობით? 25. თბილისის უბანიც და მდინარეც. 26. ირლანდიელი მწერალი, ავტორი ცნობილი „დუბლინელებისა“ (ჯერ გვარი, მერე სახელი). 27. პლანეტა ურანოსის თანამგზავრი. 28. ქართული ენათმეცნიერების პატრიარქი.

**შვეულად**:

2. როგორი ცხოვრება არჩია შუშანიკმა ოჯახში ყოფნას (როგორი)? 3. სახელი კროსვორდის უკან დამალული კაცისა. 5. რა მოეთხოვება ქალწულს? 6. ნამდვილი გვარი ყველაზე დიდი ფრანგი განმანათლებლისა. 7. ბერნჰარდ კელერმანის რომანი. 8. რა სიტყვა შეესაბამება ქართულად შარმს? 9. ორი ნაწილისაგან შემდგარი ნაწარმოწები. 12. ზემო იმერეთის ცნობილი სოფელი. 14. აპენდიციტის გართულებული ვარიანტი. 16. გვარი კროსვორდის უკან დამალული კაცისა. 18. ელექტროტექნიკის მწარმოებელი სახელოვანი ჰოლანდიური ფირმა. 20. გრძელი წვრილი ღერძი. 21. სახაროვიც და ვოზნესენსკიც. 22. ფრანგული კინოს ანჟელიკა. 24. საზღვარი ანუ რა?

თებერვლის 15-მდე ხელმეორედ დავბეჭდავ ჩვენი უნივერსალური ენციკლოპედიის პირველ ტომს მცირე რაოდენობით. წიგნის შეძენის მსურველები დაგვიკავშირდნენ - 79-53-70

# საპატიო დაფა

ჩვენი გამოთვლებით „ფანტაზიის“ 300 ნომერში გამოქვეყნებულია არანაკლებ 4000 სხვადასხვა ტიპის კროსვორდისა (იგულისხმება მხოლოდ პარასკევის „ფანტაზია“, სამშაბათის გამოშვებაშიც დაახლოებით ამდენივე კროსვორდია დაბეჭდილი). აქედან დაახლოებით 70% ეკუთვნის მის მთავარ რედაქტორს, 20%-მდე ვახტანგ ელერდაშვილის ანგარიშზეა, დანარჩენი 10% კი ჩვენს სხვა ავტორზე ნაწილდება, რომლებიც სწორედ „ფანტაზიის“ ტრადიციებზე აღიზარდნენ და ახლა დამოუკიდებლად განაგრძობენ მუშაობას.

გვსურს განსაკუთრებული მადლობა გადავუხადოთ შემდეგ დამსახურებულ „ფანტაზიელებს“:

გიორგი ვეკუას, ლალი ჭიჭინაძეს, მაკა ახვლედიანს, გოგა ტარიელაშვილს, ირაკლი ნაზღაიძეს, ნინო დალაქიშვილს, ვალერი ჭიჭინაძეს, ნანა სურგულაძეს, ლევან ელერდაშვილს და სხვებს.

ჩვენ კვლავაც გვსურს თანამშრომლობა საინტერესო ავტორებთან და ვაცხადებთ - მოგვაწოდეთ ორიგინალური იდეები.

უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი

ა - ე

1

### მცირედი განმარტება

იმხანად, 1997-98 წლებში, ჩვენში ძალიან პოპულარული იყო ე.წ. „კაიფვორდები“, რის წინააღმდეგაც ჩვენ აქტიურად ვილაშქრებდით თუნდაც იმიტომ, რომ სიტყვა „კაიფის“ დამკვიდრება არ გვსურდა ქართულ ენაში, თუმცა კი მშვენივრად გვესმოდა, რომ ამ სიტყვის გაბატონებას ვერაფერი შეუშლიდა ხელს და არც შევმცდარვართ. ფრაზა „ნუ მეკაიფები“ (...და მისთანები), დარწმუნებულნი ბრძანდებოდეთ, ოციოდე წლის შემდეგ ოფიციალურ დონეზეც მისაღები სიტყვათშეთანხმება იქნება, ანუ - იმ დროის ტელევიზიაში ასეთი რამ შეგიძლიათ მოისმინოთ (...ვინც იცოცხლებთ მანამდე):

„ეს წაკაიფების საგანი არ გახლავთ, რადგან საკითხი ქვეყნის ბედს ეხება“-ო.

ერთი სიტყვით, წინააღმდეგნი ვიყავით, მაგრამ რეალობა იმას გვკარნახობდა, რომ „კაიფვორდის“ გარეშე არსებობას ვერ შევინარჩუნებდით და მიტომაც შევქმენით მისი ალტერნატიული „კროუფვორდი“, რასაც აკუსტიკური მსგავსება დაედო საფუძვლად, მაგრამ დღესაც არ ვიცით - ვის ვაბრიყვებდით: საკუთარ თავს თუ მკითხველს (იხილე მე-16 გვერდიც).

1998 წლის ტექსტს ვურთავ განმარტებებს ახალგაზრდა თაობისათვის, რომლებიც უბრალოდ ვერ შეესწრნენ წარსულის „საკაიფო ამბებს“.

**თარაზულად**:

10. ბერძნულ მითოლოგიასთან „დაკავშირებული“ ავტობუსი. 11. ქართული ფოლკლორის ერთ-ერთი უიღბლო მიჯნური. 12. როგორი ზრახვები შეიძლება ახასიათებდეს ე.წ. „მურმანის ეკალს“? 13. თუნდაც „ოთხი ტანკისტის და ძაღლის“[1] ძოგადი სახელი. 14. ამირანის სატრფო (არაბულად ნიშნავს „მთვარეს“). 15. XX საუკუნის დასაწყისის ფსევდონიმიანი ქართველი პოეტი (სახელი და გვარი). 18. ძვირფასი ქსოვილი. 19. ერთგვარი წვეულება.... ოღონდ არაქართული სახელწოდებით. 22. რა შეიძლება უთხრას ამპარტავანმა[2] ქალმა თავმდაბალ და ღარიბ მიჯნურს (ანუ როგორო არსებაო!)? 24. ყველა კუბელი ქალის „საყვარელი“ პიროვნება. 26. (კიდევ) რომელ ქალაქში შეიძლება გაკეთდეს საუკეთესო ტოლმა (-ში-მეთქი!). 28. ქართველი მწერალი ქალი ერთობ „იზოლირებული“ ფსევდონიმით. 31. ქართული კინოს ყველაზე ცნობილი ვარლამი. 32. ძველ თბილისში ერთგვარი „მომწოდებლური“ სიტყვა (სპარსულად ნიშნავს - „გონზე მოდი!“). 33. რუსი გენიოსი. 38. რა ტიპის შურისმაძიებლობა შეიძლება ახასიათებდეს, ვთქვათ, სიყვარულში დამარცხებულ-დაჩაგრულ ადამიანის? 40. მრავალი ლამაზმანისათვის ერთობ გამოსადეგი ჟურნალი. 42. რაგვარად შეიძლება გაიფლანგოს ეს ცხოვრება (ბოლოში - დ არ დაგავიწყდეთ). 45. წონის ერთეული. 47. უსაქმური ადამიანის, ასე ვთქვათ, „ქუთაისური“ ეპითეტი. 48. პოემა, რომელიც ყველა პოემაზე ადრე შეიქმნა. 50. არეულ-დარეული, აწეწილ-დაწეწილი ანუ რა? 51. სადაური ასული იყო მედეა? 52. სოფელი მარტვილის რაიონში. 55. გამდინარე წყალი. 56. რა ჰქვია 24 ოქტომბრიდან - 21 ნოემბრამდე პერიოდს? 57. ერთგვარი საოკეანო ხომალდი. 58. ნინელი ჭანკვეტაძის საყვარელი არსება ერთ „წვიმიან“[3] ფილმში. 62. რა არის ყველაზე მეტად მიმზიდველი ქალის რძეში, ერთი ანეკდოტის თანახმად? 63. (ერთხელაც გავ-იხსენოთ) რა შეიქმს სიყვარულს? 64. საქორწინო კორტეჟების მთავარი (....ხშირად სასურველი) ავტომობილი. 66. პიროვნება, რომელიც ლოცვასა და მოგზაურობას ერთმანეთთან ათავსებს. 67. საბჭოურ საქართველოში ერთ-ერთი „პრივილეგირებული“ თვე[4]. 68. „თვითმოქმედი“ მანქანა. 70. რა აქვს ჩვენს ცხვირებს (-პასუხი ჩასვით მრავლობით რიცხვში). 71. საქართველოს რაიონული ცენტრი. 72. რა არის ხშირად სიყვარული მათთვის, ვისაც ჰგონიათ, რომ უყვართ? 80. „ჩამოსულის“ არაეთიკური სინონიმი. 81. მამაკაცის სპეციფიური ფრანგული სახელი წოდებით ბრუნვაში. 82. ბორბლებზე ამხედრებული სუბიექტის სახესხვაობა. 85. „ორი ქალით“ დასახლებული აშშ-ს შტატი.87. რა პროფესიისა კახეთის ერთ სოფელში პროფტექნიკუმიდან[5] დაბრუნებული გოგონა? 88. კლეოპატრას არცთუ „რიგითი“ მიჯნური. 92. საკვების გარკვეული შემადგენლობა. 94. ქალაქი იტალიაში. 95. როგორია ერთმანეთთან ჯინში ჩამდგარი დაჯგუფება (....პარტია)? 96. რელიგიურად „დაწინაურებული“ ქალი. 97. ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი გვირგვინოსანი ქალი. 98. მიბაძვის სახესხვაობა.

**შვეულად**:

1. (....წესით) რა უნდა ახასიათებდეს კარგი ცოლის ქმარს? 2. რაებით ელეპარაკებიან შეყვარებულები ერთმანეთს საწყის ეტაპზე (რაებით?). 3. რაზე დასეირნობენ, ვთქვათ, ბათუმში შეყვარებულები (რაზე?). 4. საწყალი გოგიას გამზრდელი და სიყვარულის მთავარი შემწე. 5. ჩასვით გამოტოვებული სიტყვა:

**„დაღამებულხარ, ჩემო აპრილო,**
**წასულხარ, ჩემო ლხინო,**
**ლამის წუხილმა (........),**
**შემომაშველეთ ღვინო“** და ა.შ.

6. რაები ითხზვება ხოლმე დიდი სიყვარულის შესახებ? 7. აშშ-ელი შეყვარებულების „გაპარვა-გასეირნების“ რეგიონი წყნარი ოკეანის სანაპიროზე. 8. ალექსეი ბატალოვის მიერ კინოში განსახიერებული მოსკოველი შეყვარებული კაცი. 9. გველის აკუსტიკური უნარი. 16. რა გააჩნია ყოველ კლასიკურ ოპერას? 17. ძალიან ღატაკი და არაფრის მქონე ანუ როგორი? 20. როგორი ინტონაცია შეიძლება დასჩემდეს უარყოფილ შეყვარებულს? 21. ირინა ალეგროვას ერთდროს ერთობ პოპულარული სიმღერა. 23. შეყვარებულთა შესაქმნელი რამ. 25. არაჩვენებური თოჯინა. 27. აღმერთება (ის, მას) ანუ რას შვება? 29. გარეკახეთის ერთობ „გათათრებული“ რეგიონი. 30. ზოგისათვის სიყვარული თაფლია, ზოგისთვის - რა? 34. როგორ იწყება შანდორ პეტეფის ერთი ცნობილი სატრფიალო ლექსი (გრიგოლ აბაშიძის თარგმანში) - სამი სიტყვა. 35. ნაძვის ხის ნედლეული.... რეზო ესაძის აზრით. 36. რა შეიძლება გააჩნდეს ხშირად შეყვარებულ-გადაყვარებულ ადამიანს „საწარმოო“ თვალსაზრისით? 37. ლათინური წარმოშობის სახელი ქალისა, რაც ქართულად „იას“ ბიშნავს. 39. „სატრფო“ - ერთი ჩვენებური დიალექტის თანახმად. 41. რას ვაკეთებ მაშინ, როცა „ღამე შინ არ შავდივარ“ (ერთი ქალაქური სიმღერის თანახმად)? 43. შუა საუკუნეების დიდი ფრანგი მოაზროვნე და მეცნიერი. 44. ვინ არის ავთანდილი შეყვარებულობის და მეგობრულობის თვალსაზრისით? 46. ანტიჰიპერტონული პრეპარატი. 49. დამცინავცილისმწამებლური შინაარსის პუბლიკაცია. 53. გავაკეთოთ პერიფრაზირება - „(რაღაცეები) დაიხოცნენ, ძუძუმწოვრებს დარჩათ ქვეყანაო“. 54. ნივთიერება, რომელიც სასიცოცხლო პროცესებს წარმართავს ცოცხალ უჯრედში. 59. რა აქვთ საერთო ფერს, ბგერას და ხასიათს? 60. საბჭოეთის მეპატრონე კლასი. 61. ელექტრული საზომი ერთეული. 65. ღვარჭნილი ანუ როგორი? 69. „რაინდის“ ევროპული სინონიმი. 73. როგორი პერსონაჟია იაგო? 74. სად არის მდინარე, როცა შეყვარებულებს „ფიქრი სწვავთ მოუთმინარე“ (ცნობილი სიმღერა-ლექსის თანახმად)? 75. ბიჭის მაღალი სასიმღერო ხმა. 76. რა სრულდება რუსულ კინოში პირობითი კოდური სახელწოდებით „**Ы**“? 77. როგორი კაცია საფარ-ბეგი? 78. მხედველობითი ორგანოს გარე ნაწილი. 79. რა ახლავს „ნაპოლეონს“ თუ ის კონიაკია? 83. სხვისი შრომის შეფასების სახესხვაობა. 84. სიყვარულის მსუბუქი, (არაკონტაქტური) სახესხვაობა. 86. რა ქენიო (გიორგი მახარაშვილი!), თუ გული ითხოვსო - რა უთხრა ცოლმა? 89. რა არ უნდა ჭამო სატრფიალო პაემნის წინ? 90. ხშირად ეს უდევს საყვარელ არსებას მკერდში გულის ნაცვლად. 91. რა ვრცელდება ხალხში, ზოგჯერ თუ ხშირად, ამა თუ იმ სატრფიალო ვნებათაღელვის შესახებ? 93. „დედა ენის“ ერთ-ერთი უარყოფითი პერსონაჟი.

[1] „ოთხი ტანკისტი და ძაღლი“ - XX ს 70-იან წლებში იყო ასეთი პოლონური სერიალი, სადაც სამი პოლონელი და ერთი ქართველი ტანკისტი (ძაღლთან ერთად) ფაშისტებს შიშის ზარს სცემდნენ. ამ სერიალში, სხვათა შორის, ჩვენ პირველად ვიხილეთ ბარბარა ბრილსკა.

[2] ამპარტავანს ჩვენ „პაკაზუხას“, „მოშჩნად ბანძი მღედრის“ შესახებ ვამბობდით.

[3] „სანამ წვიმა გადაივლის“ - ქართული ფილმი ლაშა თაბუკაშვილის პიესის, „ძველი ვალსის“ მიხედვით.

[4] ეს თვე პროლეტარულ რევოლუციას უკავშირდება.

[5] პროფტექნიკუმი - კომუნისტობისას არსებული პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი, რომელიც სრულიად უფასოდ ასწავლიდა ბავშვებს მეცნიერების საფუძვლებს და თან პროფესიას აძლევდა, მაგრამ მაინც არაპრესტიჟულად ითვლებოდა და მასწავლებლები ჩვეულებრივ სკოლაში ხშირად ასე აშინებდნენ ბავშვებს - „თუ არ ისწავლი, პროფტექნიკუმში გაგიშვებო.

ნეტავ ახლა რით აშინებენ?!

## ძვირფასო «ფანტაზიელებო», გთხოვთ პატიებას!

- ადრე განვაცხადეთ, რომ „ფანტაზიის“ მე-300 ნომრის გამოსვლასთან, ჩვენი გაზეთის 8 წლის არსებობასთან და საკროსვორდო ჩემპიონატის დაწყებასთან დაკავშირებით მოვაწყობდით ჩვენი გაზეთის მკითხველებთან შეხვედრას, მაგრამ ზემოთხსენებულ საზეიმო ფაქტებს „ხელს უშლის“ ერთი ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენა, რაც „ფანტაზიის“ ოჯახში ახალი წევრის ამქვეყნად მოვლინების მოლოდინითაა გამოწვეული და რაც, შესაძლოა, განხორციელებულიც კი იყოს მაშინ, როცა ამ სტრიქონებს წაიკითხავთ. სწორედ ამის გამო ვერ შევძელით ინიციატივის გამოჩენა დაპირებულ შეკრებასთან დაკავშირებით, მაგრამ ამას აუცილებლად აღვასრულებთ, როგორც კი მოგვეცემა ამის შესაძლებლობა.

## ასეთი „კროუფვოურდები“ იბეჭდებოდა „ფანტაზიაში“ 1998 წლის გაზაფხულზე



98 კითხვა (პასუხით?) არამარტო სიყვარულზე

# ასეთ კროსვორდებს ბეჭდავდა ,,ფანტაზია“ 1998 წელს?



**თარაზულად**:

10. ჩვენი საქალაქო ცხოვრების გადამრჩენი 1991-93 წლებში. 11. ძველებური საათების აუცილებელი ატრიბუტი. 13. შეჯიბრი, რომელშიც უძლიერესი იმარჯვებს. 14. ერთ-ერთი თანამედროვე მისტიური გატაცება. 15. ამერიკელი მოცურავე, ოლიმპიური თამაშების მრავალგზის ჩემპიონი. 16. სამხრეთამერიკული ქვეყნის დედაქალაქი. 17. ე.წ. ,,მორმონების შტატი“ აშშ-ში. 18. ერთი საბრალო ებრაელი გოგონას მიერ ოცნებებში დანახული მეგობარი. 19. მიხაილ ლერმონტოვის პოემა. 20. საგანგებო და სპეციალური საქმიანობისათვის განკუთვნილი დამცავი სამოსი. 23. ევროპული სახელმწიფოს ფულის ერთეული. 24. ქალაქი უკრაინაში. 25. პერსონაჟი თენგიზ არჩვაძის კინოგალერეიდან. 29. ადვოკატი დავით კლდიაშვილის შემოქმედებიდან. 31. ქართული თეატრისა და კინოს მოღვაწე (....) წუწუნავა. 33. მონღოლური სიტყვა ,,დიდი“ , რომელიც ერთ ჩვენ მეფეს უკავშირდება. 34. ჩვენი ტელევიზიის ყოფილი წამყვანი ქეთი.... 35. მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი, ბატონი მარლენი. 38. ებრაული წარმოშობის რუსი ფიზიკოსი. 39. ადგილი, სადაც თამარ მეფის ხილვა შეიძლება. 40. ადამიანი, რომელიც რეალურად აფასებს სიტუაციას. 42. ქართველი მწერალი. 43. მძღოლის საბუთი, რომლითაც იგი სხვის კუთვნილ ავტომობილს მართავს. 46. განუსაზღვრელი დროის მანიშნებელი ერთი გაპოეტურებული სიტყვა. 47. ორგანიზაცია, რომელსაც ევალება მოსახლეობის ელექტროენერგიით მომარაგება თბილისში. 48. რუსული სინამდვილის ერთი რელიგიური განშტოების წარმომადგენელი.

**შვეულად**:

1. მსახიობის საქმე. 2. მიულერის სამხედრო წოდება. 3. მსახიობისათვის საამო მოსასმენი რამ. 4. ის, რაც რკინიგზის ელექტროფიცირებამ წარმოქმნა. 5. ამა თუ იმ საგნის ან ცნების თანამდევი ინვენტარის ერთობლიობა. 6. მარქსის კოლეგა. 7. სკულპტურული ქმნილების სახესხვაობა. 8. პარტიულ-კომკავშირულ მლიქვნელთა ჯგუფი. 9. წვის პროცესის ხელშეწყობისათვის საგანგებოდ მომზადებულ ნაგებობა. 12. სკკპ-ს დაშლის შემდეგ რუსი კომუნისტური მოღვაწე. 21. ყველაზე პოპულარული წყალქვეშა ნავი. 22. ჟურნალისტიკასთან დაკავშირებული სანებართვო ცნება. 26. საჯაროდ სიკეთის გამოვლინება. 27. ფიგაროს სამუშაო იარაღი. 28. შხამიანი ბუზი. 30. უდიდესი რუსი მეკარე. 32. პონტოს მეფე. 36. რა შეიძლება არ გაიტეხოს ოპტიმისტმა? 37. სასწავლო დაწესებულება აღმ. სამყაროში. 39. გულმოდგინე ანუ? 41. (....) კამიუ. 44. ბულგარეთის ფული. 45. ერთ-ერთი კავკასიელი.

## ,,ფანტაზიის“ წიაღში იშვა 2004 წელს და მალე გამოვა



# ისტორიის შავ-თეთრი უჯრები

## მესამე ნაწილი — აღორძინების და აღმოჩენების ეპოქა

2



18



26





4



6



23



### აღდგენილი და შესწორებულია 2004 წელს

**თარაზულად**:

10. ქალი, რომელსაც მთელი საფრანგეთი ეტრფოდა მწერლების, ანი და სერჟ გოლონების მტკიცებით. 11. XVIII-XIX საუკუნეების ცნობილი ფრანგი დიპლომატი. 12. ჩასვით გამოტოვებული სიტყვა შემდეგ ფრაზაში: „**ლე ..... მორტ, ვივატ ლე ......** (მეფე მკვდარია, გაუმარჯოს მეფეს). 13. თეთრთმიანი, მაგრამ არა ჭაღარა. 14. სუბი-ექტი, რომელსაც ჟურნალისტი „დაკითხვას“ უწყობს. 15. გრაფიკული ნიშანი. 16. შუა საუკუნეების სკანდინავიელი მოხეტიალე მომღერალი-პოეტი. 17. ცნობილი ინგლისურენოვანი ენციკლოპედიის შემქმნელი. 20. (მუსიე) მორუაც (ფრანგი მწერალი) და ბევრი სხვა ფრანგი მუსიეც. 21. ერთი პლანეტის ძველქართული სახელი. 22. Elaeagnus - ანუ ხე, რომელიც ახალი ქვეყნებიდან შე(მო)იტანეს ევროპაში. 25. რა მოიტივეს უკან გენიოსებმა. 26. **იხილეთ ილუსტრაცია** და.... იცანით. 27. ადგილი, სადაც ერთი დიდი მსოფლიო რელიგიის შემქმნელი იშვა. 30. რა ამაღლ-და რენესანსის ეპოქის ევროპაში? 31. ვერდის ოპერა შუა საუკუნეების დიდგვაროვანთა შესახებ. 34. ევროპელ დამპყრობთა წინააღმდეგ მებრძოლი მექსიკის სახალხო გმირი. 35. რა იყო კაცობრიობისათვის „ახალი სამყაროს“ (ამერიკაზე მოგახსენებთ) აღმოჩენა.... წახალისების თვალსაზრისით? 36. გაქართველებული ევროპელი ზღაპრული გოგონა. 38. პოლონელ და ლიტველ მეფეთა შორის გავრცელებული სახელი. 40. შექსპირისეული ჰამლეტის მშობლიური კოშკი. 42. სასულე ინსტრუმენტი. 44. რა უნდა გააჩნდეს ნამდვილ სახელმწიფოს? 45. ფრანგ მეფეთა დინასტია. 50. უფროსი „სუბიექტი“ შუა საუკუნეების ევროპული ფოლკლორიდან. 51. გაიხსენეთ ქართული გვარი, რომელსაც შუა საუკუნეების საფრანგეთში კარგად გაეცნენ (ყოველ შემთხვევაში ჩვენ ასე გვინდა და გვგონია). 53. Fraxinus - საშუალო სიმაღლის ან მაღალი ხე. 57. ესპანეთის ისტორიული ოლქი. 58. განუწყვეტელი ანუ როგორი?

28



**შვეულად**:

1. როგორი ეკლესია გაბატონდა შუა საუკუნეების ინგლისში? 2. **იხილეთ ილუსტრაცია და**... გაიხსენეთ ის ერთადერთი ეპითეტი, რომელიც შეიძლება მოეძებნოს ამ კაცს. 3. ქალაქი კუნძულ კვიპროსზე. 4. **იხილეთ ილუსტრაცია და**.... გაიხსენეთ ამ ბრიტანელი დედოფლის სახელი და გვარი. 5. ერთ-ერთი რელიგიური სექტის მიმდევარი რუსეთში. 6. **იხილეთ ილუსტრაცია და**... შეეცადეთ ამ ბრიტანელი დედოფლის სახელის გაქართულებული ვარიანტი ჩაწეროთ კროსვორდში. 7. ევროპელ დიდგვაროვანთა ტიტული. 8. დღის რა მონაკვეთია დაკავშირებული 1572 წლის 24-25 აგვისტოს მომხდარ ხოცვა ჟლეტასთან? 9. ერთგვარი ცივი იარაღი. 18. **იხილეთ ილუსტრაცია და....** გაიხსენეთ ამ პიროვნების ვინაობა. 19. ქალაქი, სადაც აღმოსავლელებმა დასავლური კულტურა (თითქმის) აღგავეს პირისაგან მიწისა. 23. **იხილეთ ილუსტრაცია და**.... დაადგინეთ აცტეკების ამ ბელადის ვინაობა. 24. ესპანელთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა VIII-XV საუკუნეებში. 28. **იხილეთ ილუსტრაცია და**.... დაადგინეთ მასზე გამოსახული მეფის სახელი. 29. ამაო შრომის სიმბოლო ბერძნული მითოლოგიის თანახმად. 32. სასაპალნე ცხოველი. 33. ქალაქი იტალიაში. 37. სირაქლემა, რომელიც ევროპელებმა ამერიკაში აღმოაჩინეს. 39. ვიკინგების სამშობლო. 41. ტივი, რომლითაც ტურ ჰეიერდალი წინაპართა აღმოჩენების სინამდვილეს ამოწმებდა. 43. რა ჩამოაყალიბეს ლიტველ-პოლონელმა რაინდებმა შუა საუკუნეების ევროპაში? 46. ფრანგ მეფეთა სახელი. 47. ისტორიული ოლქი საფრანგეთის ჩრდილოეთ ნაწილში. 48. მამაკაცის ფრანგული სახელი. 49. როგორი აღმოჩნდა ინდოეთისაკენ მიმავალი გზების ძიება ევროპელთათვის? 52. (.....) კარგარეთელი. 54. VII საუკუნის ბიზანტიის იმპერატორი. 55. როგორ დაემშვიდობა კოლუმბი თანამემამულეებს? 56. (მადამ) ავსტრიელი, მეუღლე ლუდოვიკო XIII-ისა.



# კინოფანტაზია-2000

მთავარ როლში ენტონი კუინი







**თარაზულად:** 8. იხილეთ ფოტო და გაიხსენეთ ენტონი კუინის პერსონაჟი ამ ფილმში. 9. როგორი სამსახიობო ოსტატობა აქვს ჩვენს მთავარ გმირს? (ქართ. სიტყვა) 10. კოსმიური ცნება. 13. გაიხსენეთ ქვეყანა, სადაც ჩვენი გმირი დაიბადა. 14. ირონიულობის უკიდურესი ფორმა. 16. პოლონელი კათოლიკე მღვდელი. 17. XIX ს. მწერალი, რომლის ერთი პერსონაჟი დიდებულად განასახიერა ენტონი კუინმა. 18. სამხედრო წოდება. 19. ადამიანის სხეულის მწყობრიდან გამოსვლა. 20. ჩვენი გმირის მსგავსი რუსი მსახიობი. 23. დროებითა სათანამშრომლო ორგანო. 25. განზოგადებული ავადმყოფობის სახესხვაობა. 27. გენიალური ფრანგი მომღერალი ქალი. 31. ჩვენი მთავარი გმირის ქართველი კოლეგა, მასავით ზეიადი და დიდებული. 32. აშშ-ს შტატი. 33. პერსონაჟი რომანისა „ქარწაღებულნი". 34. მტაცებელი ფრინველი. 35. ფილოსოფიური მიმდინარეობა. 38. სახელი პოპულარული ამერიკელი მომღერალი შავკანიანი ქალისა. 39. მწარე საკმაზი. 41. ენტონი კუინის იტალიელი პარტნიორი ერთ პოპულარულ ფილმში. 43. ამა თუ იმ მოძღვრების თავგამოდებული მიმდევარი. 44. სიტყვა „ბლეფის" ერთი ქართული შესატყვისი. 46. თანამედროვე იტალიელი კინორეჟისორი.

**შვეულად:** 1. ენტონი კუინის ერთ-ერთი პერსონაჟი არაბული „წარმოშობის" ფილმში. 2. აფრიკის ქრისტიანული სახელმწიფოს ერთ-ერთი სახელი. 3. იხილეთ ფოტო და გაიხსენეთ ამ ფილმის სახელი. 4. როგორი სამსახიობო ოსტატობა აქვს ჩვენს მთავარ გმირს (ლათ. სიტყვა)? 5. ენტონი კუინის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პერსონაჟი. 6. ქალაქი თურქეთში. 7. ავტომობილის ნაწილი. 11. იგივეა, რაც შეგუება. 12. სპორტის სახეობა. 15. აშშ-ს შტატი. 21. პარიზის მინდვრების „პატრონი". 22. ჩვენი მთავარი გმირის იტალიელი პარტნიორი ქალი ერთ ცნობილ ფილმში. 24. იგივეა, რაც მინანქარი. 26. თარ. № 38-ის მსგავსად თავის ქვეყანაში პოპულარული რუსი მომღერალი, უფრო სწორად მისი სახელი. 28. რეჟისორი №3 ფოტოზე ნაჩვენები ფილმისა. 29. იაპონური არაყი. 30. ჩვენი მთავარი გმირის იტალიელი პარტნიორი ქალი №3 ფოტოზე ნაჩვენებ ფილმში. 36. თარ. № 38-ის მსგავსად თავის ქვეყანაში პოპულარული არგენტინელი მომღერალი ქალი, უფრო სწორად მისი სახელი. 37. ქართული ჰაგიოგრაფიის რომანული ეპიზოდის უნებლიე მონაწილე პერსონაჟი. 38. დევნილი საბჭოელი კომუნისტი, რომელიც ენტონი კუინის სამშობლოში მოკლეს. 40. იზოლირებული სივრცე ტრანსპორტში. 41. ლათ. ამერიკის სახელმწიფო. 42. „პროგრესისაკენ" მომწოდებელი ზმნიზედა. 43. თარ. № 38-ის მსგავსად ერთობ პოპულარული ამერიკელი ჯაზის მომღერალი, უფრო სწორად მისი სახელი.



## ერთი სიტყვის კროსვორდი

თარაზულად: 1. ჩვენი ცხოვრების ხშირი მოკარნახე. 3. ნელი ტემპი მუსიკაში. 8. ნამატის მომლოდინე მდედრი პირუტყვი. 9. ერთ-ერთი უძველესი დამწერლობა ასეთია. 11. იხილეთ მარჯვენა ფოტო და გაიხსენეთ სტენლი კრამერის ფილმი, სადაც იგი მთავარ როლს ასრულებს. 13. ვერდის ოპერა. 14. ერთ-ერთი ჩოგბურთელი და უილიამსი. 15. ფუჭი და უშედეგო. 16. გვარი ექიმისა,რომელიც სხვა ქალაქში სხვის ბინაში მთვრალ მდგომარეობაში „შეიჭრა".

შვეულად: 1. რა არის ციტადელი თავისი არსით? 2. ევროპის სახელმწიფო. 4. ვინმეზე გულის მოსვლა,წყენა. 5. ტანში მოძრავი „ბუსუსები" სიამოვნების განცდისას. 6. ახმეტის რაიონის სოფელი. 7. შეიძლება სახეზე შეიკრას. 10. ფრანგული კინოს ერთ-ერთი მშვენება. 12. ო.იოსელიანის ზღაპრის ბიჭი.





# №27 იტალიური კროსვორდები

**ვერტიკალურად (სვეტების ზედა უჯრები):**

- კული-ნარი 8
- იოსები მოკლედ 4
- ტიბე-ტური მცოხ-ნელი 4
- „მწვა-ნე“ ღვინით ცნობი-ლი სოფელი 6
- თურქე-თის ფული 4
- გამო-ძახილი 3
- მათემ. ორწე-ვრი 6
- შუა აზიის ზღვა 5
- პატარა მფრი-ნავი ძუძუმ-წოვარი 6
- ქართე-ბის მო-ნათე-სავე 6
- არაკი 5
- მიზან-ში მსრო-ლელი 8
- ჩვენი მორაგ-ბეების მეტოქე კუნძ. ქვეყ. 5
- განთი-ადი 4
- მამა-კაცის საზე-იმო სამოსი 5
- (....) იქა, ფქვილი აქა 4
- ქალაქი კრას-ნოდა-რის მხარე-ში 5
- შარმი 4
- ტერიტ.-ადმინ. ერთეუ-ლი 4
- ფრანგი პოეტი ალფონს (....) 9
- კასან-დრას გამზრ-დელი 7
- მიწის საზომი ერთეუ-ლი 4
- ხორბ-ლის შექა-მანდი 5
- შავი 5
- დედა-მიწაზე 6 მი-ლიარ-დია 8
- ერთუჯ-რედია-ნი არსება 5

**ჰორიზონტალურად (სტრიქონების მარცხენა უჯრები):**

- ყველაზე ცნობილი კამერუნე-ლი ფეხბ. 4
- ნაგვის ასალები 8
- აფრიკის ქვეყანა 5
- განის დედა-ქალა-ქი 4
- (....) ალიგი-ერი 5
- (....) დეკა-რტი 4
- ირანის ვალუტა 5
- ჩვენი ისტორიუ-ლი ძეგლი 4
- (....) ნაზარე-ველი 4
- „გვადი ბიგვას“ პერსო-ნაჟი 4
- სამაჩაბლოს რაიცენტრი 6
- სტუდენტის გაკვეთი-ლი 6
- დელიბის ოპერა 5
- ძვირფასი ქვებით მორთული თავსაბურავი 7
- სტომაქი 4
- სამხ. ამერ. აქლე-მი 4
- ჩვენთ-ან ახლ-ოს რომ არის 2
- საგა-ზეთო პუბლი-კაცია 6
- ნიკო (....) ქართვე-ლოლოგი 4
- პატარა სახლი 3
- აკრძალვა 4
- იტალიური ავტომო-ბილი 5
- მაგდანას ცხოველი 4
- აკუსტკური წარმონ-აქმნი 3
- ებრაელთა სალოცავი 8
- ერთგვარი მარგა-რინი 3
- ისტორიული რეგიონი მცირე აზიაში 7
- ჩაის ასადუღებელი 8
- დაწესებული ზღვარი 6

# ადვილი კროს-ვორდი

**ვერტიკალურად (სვეტების სათაურები):**

- იხილეთ ფოტო ფილმი
- აშშ-ს შტატი
- გიორგი ქინქლაძის ყოფილი კლუბი / ინგრიდ (....) მსახიობი
- მთა, რომელზეც ნოე შეჩერდა
- საგნის ადგილმდებარეობას ადგენს
- გრძელდის საპირისპირო / ერთი და იმავე გვარის მეფეები
- შებოლილი ხორცი / მაკაო / დას. სამოას დედაქალაქი
- სახელმწიფო სამხ. აზიაში / კლდიანი ღრმა ხევი / (....) პიტი
- სოფელი ხაშურის რ-ნში / ამერიკული ნიანგი / ებრაელთა რეპატრიაცია
- ავსტრიელი პოეტი
- (....) ამაღლობელი / სოფელი კასპის რ-ნში
- ერთგვარი შემოწმება / დეკორატიული მცენარე
- არაბი მმართველი / ქათმის ჯიშის ფრინველი / კურორტი ბორჯომის რ-ნში
- პეტროვის კოლეგა / (....)-პარი / მასა
- (....) ლამა / სოფელი კასპის რ-ნში / აშშ-ს პარლამენტი



**ჰორიზონტალურად (სტრიქონების სათაურები):**

- შინაური ცხოველი
- ვისკის ნედლეული / ყაზახეთის მდინარე
- სრული უაზრობა
- მუშაობის ერთეული / რძეში მოხარშული ცომი
- დღე-ღამის ნაწილი / ოხერი
- სულის მისტიური გამოვლინება
- (....) ჰეპბერნი / იგივე ხრამი
- ცარიელი ჭურჭელი / შვეიცარიელი მათემატიკოსი
- სასულიერო პირი შუა სს საფრანგეთში / ნოსოვის ზღაპრის გმირი
- ფეხსაცმლის მაღაზია / ნაპოლეონის მარშალი / საფრანგეთის ისტ. ოლქი
- თბილისის „დინამოს“ ერქვა / საოპერო პარტია
- ილიას „ხარი“ / ჩეხოვის „კუნძული“
- მიმბაძველი
- მუსლიმანთა სულიერი ლიდერი
- (....) ვაიკულე / ბატონი ხაიამი
- შექსპირის მავრი / (....) გელაშვილი
- (....)-ანჟელესი
- დედამიწის შიგნეთშია / დანიის ტერიტ.-ადმ ერთეული
- რომის პაპის თავსაბურავი
- სასიყვარულო პოეზ. მუზა / ფეხბურთის ლეგენდა / დადგენილი დრო
- საგზაო შემოწმება
- ის, რაც შეიძლება შეიცვალოს ადამიანმა / უფერული ზეთოვანი სითხე

# რთული კროსვორდი

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ეს სიტყვა მინიშნებაა | ბუბა (....) | ესპანელი ფეხბურთელი | იტალიის უძ. ტომები | მას ბირმა ერქვა | რომის პაპის თავსაბურავი | გამბედაობა | თავშესაფარი | ეთიოპიის ძველი ქართული სახელი | იხილეთ ფოტო | გამცილებელი რაზმი | ორსახა ღვთაება | სკოლის დამთავრების საბუთი | ქალაქი ტეხასის შტატში | ჩინეთის დედაქალაქი |
